ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3563854

ნომერი: AR1541168

თარიღი : 18.09.2017

გაცემის თარიღი : 25.09.2017

გაცნობის თარიღი : 02.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანის ქუჩა N2ა / ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა, ს/ს "თემქა პურის" შესასვლელთან, (ნაკვეთი N01/011)-ის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , ს/ს "თემქა-პური"-ს შესასვლელთან , (ნაკვ. 01/011) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ქაცარავა პ/ნ 01024018812
- თბილისი ო.ჭილაძის ქ. N 166 კორ. 3 ბ. 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 აპრილის №3201591 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 18 სექტემბრის AR1541168 განცხადებით მომართა მამუკა ქაცარავამ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 26 აპრილის №3201591 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საკადასტრო მონაცემების ცვლილების კუთხით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 აპრილის №3201591 ბრძანებით, ქ. თბილისში, მუხიანის ქუჩის N2ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.05.001.051; ფართობი: 5711 კვ.მ) საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (მიშენება, ან მიშენება-დაშენებით, დაშენება-ფუნქციის ცვლილებით) მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დღევანდელი მდგომარეობით, შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის წითელი ხაზები, საკადასტრო კოდი და ფართობი. დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2017 წლის 26 აპრილის №3201591 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 აპრილის №3201591 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.12.05.001.077 ფართობი: 5888 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: N882017626673 რეგისტრაციის თარიღი : 14/07/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 აპრილის №3201591 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.